სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების აღწერილობა-კატალოგი

(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)

2018 წელი

ბაკალავრიატი:

სოციოლოგია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  სოციოლოგიის ბაკალავრი.
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  ძირითადი სპეციალობა: სოციოლოგია.
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ა) ბაკალავრიატის პროგრამა სოციოლოგიაში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამოუკიდებელი მიმართულების (სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის) საბაზისო კომპონენტია. პროგრამა იძლევა ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

ბ) სოციოლოგიის ბაკალავრიატის პროგრამის მიზანია სოციოლოგიურ თეორიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში საბაზისო ცოდნის უზღუნველყოფა. გარდა ამისა, პროგრამა მოწოდებულია სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ–ჩვევები.

გ) საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სოციოლოგიის ბაკალავრს ექნება:

- ✓ ადეკვატური ცოდნა სოციოლოგიის ისტორიის, ძირითადი სოციოლოგიური ცნებების, თეორიული მიდგომებისა და სოციალური კვლევის მეთოდების შესახებ.
- ✓ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევებში როგორც რიგითი მკვლევარი და იმოქმედოს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით, სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.
- ✓ უნარი, კომუნიკაცია დაამყაროს კვლევის ობიექტთან (რესპონდენტთან), იმუშაოს ინტერდისციპლინურ ჯგუფებში

დ) ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამა დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტი ეტაპობრივად, სწავლის სირთულის ხარისხის გათვალიწინებით, ეუფლება სოციოლოგიის სპეციფიკას. კერძოდ, დასაწყისში მას მიეწოდება „სოციოლოგიის შესავლის“ კურსი (5 კრედიტი), რომელიც სტუდენტს გააცნობს იმ ძირითად ცნებებს, რომლებითაც ოპერირებს სოციოლოგია, აგრეთვე, მიაწვდის ზოგად ინფორმაციას სოციალური კვლევის საბაზისო მეთოდების შესახებ. სწავლების შემდგომ საფეხურზე, სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტი უფრო დეტალურად გაეცნოს სოციოლოგიის თავისებურებებს, კერძოდ, დარგობრივ სოციოლოგიებს, აგრეთვე, უფრო

ფართოდ შეისწავლოს სოციალური კვლევის ცალკეული მეთოდები (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი).

სოციოლოგიის ბაკალავრიატის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 160 ECTS კრედიტს. აქედან:

ა) საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო სასწავლო კურსები / მოდულები (35 კრედიტი)
ბ)საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი სასწავლო კურსები / მოდულები (5 კრედიტი)
გ) სპეციალობის (სპეციალიზაციის) სავალდებულო კურსები / მოდულები (85 კრედიტი); აქედან 20 კრედიტი ეთმობა სოციოლოგიის პრაქტიკუმს, სადაც სტუდენტები სოციოლოგის უნარ-ჩვევებს პრაქტიკულად გამოცდიან)
დ) სპეციალობის (სპეციალიზაციის) არჩევითი კურსები / მოდულები (25 კრედიტი)
ე) საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი)

პოლიტიკის მეცნიერება

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს)მინიჭებული წოდება(ორიგინალის ენაზე): პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი.
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:პოლიტიკის მეცნიერება
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა:დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:პოლიტიკის მეცნიერებისსაბაკალავრო პროგრამისმიზანია მოამზადოს კვალიფიცირებული კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა როგორც პოლიტიკის მეცნიერებაში, ასევე მის ცალკეულ სუბდისციპლინებში, ჩამოუყალიბდეთ კვლევითი პრობლემების გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარ – ჩვევები, რათა შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება კონკრეტული პრობლემების გასაანალიზებლად და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

სწავლის შედეგი: ბაკალავრის ხარისხის მიღების შედეგად, ბაკალავრს პოლიტიკის მეცნიერებაში შეუძლია ჩაერთოს დარგის სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის გარეშე. ბაკალავრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით. სწავლება ბაკალავრიატის დონეზე უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტების მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისთვის სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებში ან პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატში მუშაობისათვის, ასევე სკოლებში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

საბაკალავროპროგრამისსტრუქტურა:საბაკალავროპროგრამაპოლიტიკისმეცნიერებაშიგულისხმობს 120 კრედიტისდაგროვებასპოლიტიკისმეცნიერებისმაპროფილებელისაბაკალავროკურიკულუმიდან. პროგრამაშიწარმოდგენილითითოეულისაგანიხუთკრედიტიანიადაგრძელდებაერთისემესტრისგ

ანმავლობაში.
საგნები,სწავლებისსირთულისმიხედვით,დაყოფილიასამდონედ.პირველიდონისსწავლებაგული
სხმობსშესავალიკურსისგავლასპოლიტიკისმეცნიერებაში. სწავლებისმე-
2დონისფარგლებშიშეთავაზებულია 6სავალდებულოკურსი (სულ 30 კრედიტი). მე-
3დონისსწავლებაგულისხმობსარჩევითისაგნებისშეთავაზებას,
პოლიტიკისმეცნიერებისსუბდისციპლინებისმიხედვით,6 თემატურიკონცენტრაციისსახით
(პოლიტიკურითეორია; შედარებითიპოლიტიკა; საჯაროპოლიტიკადაადმინისტრირება;
რეგიონებისდაქვეყნებისპოლიტიკა; პოლიტიკურიკულტურადაკომუნიკაციები;
მომზადებაკვლევისთვის). სტუდენტმაუნდადააგროვოს 75 კრედიტი, ანუაირჩიოს 15 საგანი.
საბაკალავრონაშრომისშესრულება, რომლისმოცულობაც 10 კრედიტითგანისაზღვრება,
სავალდებულოა. უმაღლესიგანათლებისშესახებკანონისშესაბამისად,
საბაკალავროპროგრამისფარგლებშისტუდენტიარსპეციალიზდებარომელიმეკონცეტრაციისმიხე
დვით. პროგრამაისეააგებული,
რომუზრუნველყოფსპოლიტიკისმეცნიერებისყველასუბდისციპლინაშისტუდენტისთვისზოგადი
ცოდნისადაუნარებისგანვითარებას.

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  ჟურნალისტიკა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

  საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს ჟურნალისტიკის სპეციალისტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკრეტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იქნება მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინური ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის. პროგრამის მიზანია სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლების მოყვარე დემოკრატ პიროვნებად.

  სწავლის შედეგები: ბაკალავრი შეიძენს იმ საბაზისო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყებად. იგი შეძლებს თემის აქტუალურობის განსაზღვრას, ინფორმაციის მოპოვებას, გადამოწმებას. გაეცნობა საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონიორებას და შეძლებს ინფორმაციის სწორად ორგანიზებას, დამუშავებას, სხვადასხვა სახის მედია–ტექსტის შექმნას, წყაროსთან მუშაობას, ინფორმციის დაბალანსებას და მრავალფეროვნების წარმოჩენას. იგი გაეცნობა დარგობრივი ჟურნალისტიკის და მულტიმედიის შესაძლებლობებს, კვლევის მეთოდებს, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიულ საფუძვლებს, შეიძენს სფეროში მუშაობისთვის საბაზისო პროფესიულ უნარ–ჩვევებს.

ამასთან, გამოიმუშავებს კრიტიკულ აზროვნებას. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

სოციალური მუშაობა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):

  სოციალური მუშაობის ბაკალავრი.
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:

  სოციალური მუშაობა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ა)სოციალური მუშაობა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამოუკიდებელი მიმართულების (სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის) საბაზისო კომპონენტია. პროგრამა იძლევა ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

ბ) სოციალური მუშაობის ბაკალავრიატის პროგრამის მიზანია:

- სტუდენტთათვის სოციალური მუშაობის თეორიული საფუძვლების გაცნობა;
- სოციალური მუშაობის კომპეტენციის სტანდარტების განვითარება და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადება;
- პროფესიული და აკადემიური სტანდარტების პრაქტიკაში ინტეგრირება და სოციალურ მუშაკთა უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა;
- მაღალი კვალიფიკაციის სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პროფესიის პოპულარიზებას.

გ) საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს შეეძლება:

- განახორციელოს სოციალური მუშაკისთვის რელევანტური სოციალური მომსახურება, სხვადასხვა ინტერვენციული მიდგომისა და კვლევითი მეთოდების გამოყენებით (ცოდნა და გაცნობიერება).
- სწორად განსაზღვროს შესასწავლი პრობლემის არსი, შეარჩიოს ის მეთოდი, რომელიც ამა თუ იმ პრობლემის შესწავლას, მის პრევენციას და გადაჭრას ადეკვატურად უზრუნველყოფს და წარმოადგინოს გაწეული მომსახურების შედეგები (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება).
- კომუნიკაცია დაამყაროს ყველა იმ ადამიანთან, რომელიც მისი კლიენტია, ანუ რომელსაც გარკვეულ მომსახურებას სთავაზობს.
- პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავების და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი პრევენციის და გადაჭრის გზების შესახებ.

დ) ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამა დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტი ეტაპობრივად, სწავლის სირთულის ხარისხის გათვალიწინებით, ეუფლება სოციალური მუშაობის სპეციფიკას. კერძოდ, დასაწყისში მას მიეწოდება „სოციალური მუშაობის შესავლის“ კურსი (5 კრედიტი), რომელიც სტუდენტს გააცნობს იმ ძირითად ცნებებს, რომლებითაც

ოპერირებს სოციალური მუშაობა, აგრეთვე, მიაწვდის ზოგად ინფორმაციას სოციალური მუშაობის კვლევის საბაზისო მეთოდების შესახებ. სწავლების შემდეგ საფეხურზე, სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტი უფრო დეტალურად გაეცნოს სოციალური მუშაობის სპეციფიკას: ა) სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან ბ) ინსტიტუციებთან (ორგანიზაციები და თემები), აგრეთვე, უფრო სიღმისეულად შეისწავლოს სოციალური მუშაობის კვლევის ცალკეული მეთოდები (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი). პარალელურად, ბაკალავრი ეცნობა იმ თეორიულ მიდგომებსა და პარადიგმებს, რომლებიც პრობლემის მეცნიერული შესწავლის კონცეპტუალურ ჩარჩოებს, აგრეთვე, სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და სოციალური მუშაობის სამართლებრივ ლეგიტიმაციას უზრუნველყოფს.

სოციალური მუშაობის ბაკალავრიატის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 160 ECTS კრედიტს. აქედან:
ა) საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო სასწავლო კურსები / მოდულები (35 კრედიტი)
ბ)საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი სასწავლო კურსები / მოდულები (5 კრედიტი)
გ) სპეციალობის (სპეციალიზაციის) სავალდებულო კურსები / მოდულები (90 კრედიტი)
დ) სპეციალობის (სპეციალიზაციის) არჩევითი კურსები / მოდულები (20 კრედიტი)
ე) ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში სპეციალური ყურადღება (30 კრედიტის მოცულობით) ეთმობა სოციალური მუშაობის პრაქტიკას. ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები გამოიმუშავებენ სოციალური მუშაკის უნარ–ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებას. პრაქტიკა, როგორც წესი, ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სააგენტოებში, სადაც სტუდენტები, ორგანიზაციის პროფილიდან გამომდინარე, ახორციელებენ სხვადასხვა სოციალურ სერვისებს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით.
ვ) საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი)

საერთაშორისო ურთიერთობება

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და(თუ არსებობს)მინიჭებული წოდება(ორიგინალის ენაზე): საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:

საერთაშორისო ურთიერთობები

- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა:დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა: შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ, ასევე

ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში..

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთობების თეორიებისა და კვლევის მეთოდებში, საბაზისო კვლევის ჩატარების უნარ–ჩვევებს, აქვს პრობლემის დასმის, მისი კომპლექსურად შესწავლის და გადაჭრის საჭირო რესურსების მოძიების, ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის, საკითხისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: აბსტრაქტულ აზროვნებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვებას, დალაგებას, ანალიზსა და სინთეზს; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემის იდენტიფიკაციას, გამოცალკევებას და ერთმანეთთან შედარებას ; პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეფასებას; ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორ დიაგნოსტირებას; არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღებას, შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვას; განსახორციელებელი ღონისძიების შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის პროცედურის აღწერას;

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 4 მოდულს: საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომია, ევროპათმცოდნეობა, საერთაშორისო პოლიტიკა და უსაფრთხოება, რეგიონალისტიკა და უსაფრთხოება. პროგრამის ხანგძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), მოიცავს 152 კვირას, 6000 საათს და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას. ერთი სემესტრის ხანგძლივობა შეადგენს 15 კვირას. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%, ხოლო 60% დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის.

კრედიტების განაწილების პრინციპი:

120 კრედიტი – ძირითადი სპეციალობს: 110 კრედიტი მაპროფილებელი სასწავლო კურსები 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი=120;

60 კრედიტი – დამატებითი სპეციალობა ან სხვა სასწავლო კომპონენტები;

საფაკულტეტო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი;

თავისუფალი კრედიტები – 20 კრედიტი;

სპეციალობის არჩევითიმოდულების კურსები გათვალისწინებულია მე-5 სემესტრიდან მე-8 სემესტრის ჩათვლით.

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსული)

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება(ორიგინალის ენაზე):

სოციალური მეცნიერებებისბაკალავრი

-კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:

ჟურნალისტიკა

-ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა:დასწრებული.

- პროგრამის მოთხოვნები:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია თანამედროვეპროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს ჟურნალისტიკის სპეციალისტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკრეტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იქნება მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინური ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის. პროგრამის მიზანია სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლების მოყვარე დემოკრატ პიროვნებად.

სწავლის შედეგები: ბაკალავრი შეიძენს იმ საბაზისო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყებად. იგი შეძლებს თემის აქტუალურობის განსაზღვრას, ინფორმაციის მოპოვებას, გადამოწმებას. გაეცნობა საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონიორებას და შეძლებს ინფორმაციის სწორად ორგანიზებას, დამუშავებას, სხვადასხვა სახის მედია–ტექსტის შექმნას, წყაროსთან მუშაობას, ინფორმციის დაბალანსებას და მრავალფეროვნების წარმოჩენას. იგი გაეცნობა დარგობრივი ჟურნალისტიკის და მულტიმედიის შესაძლებლობებს, კვლევის მეთოდებს, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიულ საფუძვლებს, შეიძენს სფეროში მუშაობისთვის საბაზისო პროფესიულ უნარ–ჩვევებს. ამასთან, გამოიმუშავებს კრიტიკულ აზროვნებას. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

პროგრამის სტრუქტურა:

საფაკულტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო): – 20 კრ;

საფაკულტეტო სასწავლო კურსები (არჩევითი) – 20 კრ;

სპეციალობის სავალდებულო კურსები – 60 კრ;

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი ან პროექტი – 5კრ) – 60 (შესაძლო 100–დან);

დამატებითი სპეციალობა ან სხვა სასწავლო კომპონენტი ბაკალავრიატის

საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან – 60 კრ;

თავისუფალი კრედიტი – 20 კრ.

საზოგადოებრივი გეოგრაფია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):

  სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში

- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:

  ძირითადი სპეციალობა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.

- პროგრამის მოთხოვნები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე აღწერილობა

საზოგადოებრივი გეოგრაფია–ბაკალავრიატი, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში - BA of Social Sciences in Human Geography. სწავლების პირველი საფეხური. დაშვებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მეიჯორის შეთავსება სხვა სპეციალობის მაინორთან და პირიქით. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაინორი მოიცავს 60 კრედიტს.

ბ) პროგრამის მიზანი: საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ახალგაზრდების მომზადება, რომლებიც დაინტერესებულები არიან შეისწავლონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სივრცე–დროითი ასპექტები და ამის საფუძველზე შეიმუშავონ ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნეს–ორგანიზაციების მართვას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას. მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად საზოგადოებრივი გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციებში, სხვადასხვა დონის (ცენტრალური, ადგილობრივი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები: კურსდამთავრებული, რომელმაც მიიღო სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ფიზიკურ–გეოგრაფიული/ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს. აცნობიერებს სხვადასხვა დონის სივრცობრივ კავშირებს. შეძენილი აქვს სხვა დისციპლინების მრავალფეროვანი მიდგომების ცოდნა, შეუძლია მათი გაგება და გამოყენება გეოგრაფიულ კონტექსტში. საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას იყენებს სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ და გეოინფორმაციულ მეთოდებს. შეუძლია სოციალური და გეოგრაფიული პროცესების შესახებ ზოგადი დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ბაკალავრმა უნდა შეასრულოს სულ 240 კრედიტი, მათ შორის:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები: 40 კრედიტი
- ძირითადი სპეციალობა 120 კრედიტი. მიმართულება სტუდენტს სთავაზობს პროგრამას, რომელშიც შედის 25 სასწავლო კურსი, ჯამში 165 კრედიტი. სტუდენტი ვალდებულია შუასრულოს 120 კრედიტი, მათ შორის 60 კრედიტი სავალდებულო და 60 კრედიტი არჩევითი კურსებიდან.
- დამატებითი სპეციალობა ან სხვა სასწავლო კომპონენტები - 80 კრედიტი, მათ შორის დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტი და თავისუფალი კურსები - 20 კრედიტი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აირჩევს დამატებით სპეციალობას მას უფლება აქვს 60 კრედიტი შეასრულოს მისი შეხედულებისამებრ სხვა სასწავლო კურსების ხარჯზე.

მაგისტრატურა

გენდერის კვლევა (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი)

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე): სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი გენდერის კვლევებში
-კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:

გენდერის კვლევები
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.

- პროგრამის მოთხოვნები:
საფეხურისსტრუქტურა: მეორესაფეხური: მაგისტრატურა - 120 კრედიტი

პროგრამის „გენდერისკვლევა“ მიზანია სტუდენტებს მისცეს უახლესი ცოდნა გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ; განუვითაროს მათ კვლევისა და ანალიზის უნარი; მოამზადოს ისინი გენდერის საკითხებზე პრაქტიკული თუ სამეცნიერო მუშაობისათვის.

პროგრამის შედეგი: პროგრამის კურსდამთავრებული იცნობს გენდერის კვლევის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს, ფემინისტური და ანტიჰომოფობიური სოციალური მოძრაობების ისტორიას და არსებულ მდგომარეობას, გენდერული უსამართლობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების აქტივობასა და სახელმძღვანელო პრინციპებს; იცის გენდერის საკითხებზე სამეცნიერო კვლევის ჩატარებისა და დამუშავების ხერხები და შეუძლია სრულფასოვანი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარება; შეუძლია გენდერული პერსპექტივის გამოყენება სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური პრობლემის ანალიზისას. კურსდამთავრებული მომზადებულია გენდერული უსამართლობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად; შეუძლია გენდერული უსამართლობის პრობლემების გადასაწყვეტად მიმართული პროექტების განვითარება და მათ განსახორციელებლად საჭირო ფინანსური თუ ადამიანური რესურსების მობილიზება; აქვს კვლევითი პროექტების განვითარების, მათთვის და ფინანსების მოპოვებისა და მათი განხორციელების უნარი; შეუძლია გენდერული პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული დარგობრივი კომპეტენციების გარდა, პროგრამის კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა: სამეცნიერო ტექსტების გაგება და კრიტიკულად აღქმა, რელევანტური ემპირიული მონაცემების შეგროვება, მათი სისტემატიზაცია და მათ საფუძველზე დასკვნების გაკეთება, სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ჩატარება, კვლევის შედეგების წერილობითი თუ კვლევის ზეპირი პრეზენტაცია, დისკუსიებსა და პოლემიკებში ეფექტური მონაწილეობა, დებატების წარმართვა, ჯგუფში მუშაობა.

პროგრამის კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს უყალიბდებათ ღირებულებები: სოციალური სამართლიანობა, პოლიტიკური აქტიურობა და პასუხისმგებლობა, განსხვავებების აღიარება და პატივისცემა, ტოლერანტობა, კვლევითი კეთილსინდისიერება, ობიექტურობა, აზროვნების ღიაობა და სიახლის მიმართ გახსნილობა, რეფლექსურობა კვლევაში, ცოდნის, როგორც ღირებულების გაცნობიერება.

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა შედგება სასწავლო (80 ECTS), კვლევითი სემინარითა და პრაქტიკით (10 ECTS),სამაგისტრო ნაშრომით (30 ECTS). სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (35 ECTS) დაარჩევითი (55ECTS) კურსისგან.

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

- პროგრამის მოთხოვნები:

ა)სამაგისტრო პროგრამის „კულტურის და მედიის სოციოლოგია“ მიზანია, მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური სპეციალისტები კულტურის და მედიის სოციოლოგიაში. ის უზრუნველყოფს მაგისტრანტებს კულტურის, მედიის, სოციალური კომუნიკაციების და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ურთიერთგავლენის ცოდნით. პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა და მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგიურ ხედვას ეფუძნება, ფართოდ იყენებს მომიჯნავე დისციპლინების (ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერების, ჟურნალისტიკის) კვლევებსაც კულტურის და მედიის მიმართულებით.

ბ) შედეგები: პროგრამა ორიენტირებულია ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარებაზე, მაგისტრანტების დაინტერესებაზე რეალური ემპირიული კვლევებით, განსაკუთრებით, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, თეორიის ემპირიაში გამოყენების მიზნით.
კურსდამთავრებულთა წარმატებული პროფესიული საქმიანობა გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას ახალ მულტიდისციპლინურ გარემოში, კულტურის, მედიის და მასობრივი კომუნიკაციების სფეროთა ემპირიული კვლევისა და პროგნოზირების მოთხოვნის პირობებში. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მოიცავს თანამედროვე ცვალებად საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესთა კრიტიკულ ანალიზს, მათ შესასწავლად კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების შერჩევა–გამოყენებას, მოპოვებული მონაცემების რაოდენობრივ/თვისებრივ ანალიზს და ინტერპრეტაციას, და თეორიული იდეების ემპირიულირეალიზაციის შესაძლებლობას.

გ) სტრუქტურა: სასწავლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან, მათგან 50 კრედიტი სავალდებულო საგნებზე მოდის, 30 კრედიტი - არჩევითზე, 10 - თავისუფალზე და 30 - სამაგისტრო ნაშრომზე.

სოციოლოგია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  სოციოლოგიის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  სოციოლოგია
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა:დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:
  ა) მაგისტრატურის პროგრამა სოციოლოგიაში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამოუკიდებელი მიმართულების (სოციოლოგია) აკადემიური კომპონენტია.
  ბ) სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციოლოგიაში (აგრეთვე, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონკრეტული და სიღრმისეული გაფართოება როგორც სოციალურ-თეორიული,

ისე ემპირიული კვლევის მეთოდების მიმართულებით. გ)სოციოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება სოციალური თეორიებისა და მიდგომების სისტემური ცოდნა, პირველწყაროებზე დაყრდნობით შეისწავლის ამათუიმ თეორიის ძირითადი წარმომადგენლების ნააზრევს; შეეძლება კრიტიკული რეფლექსია სხვადასხვა მიდგომების უპირატესობებსა და სიძნელეებზე; ექნება ემპირიული კვლევის მეთოდების სიღრმისეული ცოდნა, ასევე კვლევის (როგორც თეორიული, ისე ემპირიული) პროფესიული სტანდარტებით ჩატარების უნარ-ჩვევები. მაგისტრანტს შეეძლება კვლევის მიგნებების საჯაროდ წარდგენა და მათი მკაფიო არგუმენტაცია.

დ)მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 კრედიტს. კრედიტების განაწილება დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტი არსებითად იღრმავებს ცოდნას როგორც სოციალური თეორიების (15 კრედიტი), ისე კვლევის მეთოდების (20 კრედიტი) მიმართულებით. პროგრამაში სპეციალური ყურადღება (15 კრედიტი) ეთმობა სოციოლოგიის პრატიკუმს. ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები იღრმავებენ კვლევის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს, ახორციელებენ კვლევით პროექტებს, რომლებიც მათი სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილია. ძირითადი თეორიული მიდგომების, აგრეთვე, კვლევის მეთოდების და სოციოლოგიის პრაქტიკუმის კურსები სავალდებულოა, რამდენადაც მათი ცოდნა აუცილებელია პროფესიული სრულყოფისათვის. გარდა ამისა, არჩევითი კურსების ფარგლებში, სტუდენტებს მიეწოდება ე.წ. დარგობრივი სოციოლოგიები (15 კრედიტი), რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, რომ სტუდენტმა კონცენტრაცია მოახდინოს მისთვის საინტერესო რომელიმე სფეროს (კულტურა, პოლიტიკა, რელიგია, ოჯახი, შრომა და ორგანიზაცია, ხელოვნება და სხვ.) სოციოლოგიურ შესწავლაზე. პროგრამის არჩევითი ნაწილია, აგრეთვე, სხვადასხვა სპეცკურსები (25 კრედიტი), რომლებიც სტუდენტებს უფრო ფართო შემეცნებით ინტერესებს პასუხობს. სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობაა 50/40-ზე. სამაგისტრო ნაშრომის საკრედიტო ხვედრით წილია 30 კრედიტი.

-

სოციალური მუშაობა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  სოციალური მუშაობის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  სოციალური მუშაობა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:
  ა) მაგისტრატურის პროგრამა სოციალურ მუშაობაში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამოუკიდებელი მიმართულების (სოციალურიმ უშაობა) აკადემიური კომპონენტია.

  ბ) სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტები უზრუნველყოს სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის ფუნდამენტური დისციპლინების ღრმა ცოდნით;

მოამზადოს ისინი სოციალური მუშაობის პრაქტიკის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და, საერთო ჯამში, უზრუნველყოს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაცია.

გ) სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბენეფიციარს ეცოდინება, როგორ დაგეგმოს და განახორციელოს სოციალური მუშაობის პრაქტიკა (პრევენცია/ინტერვენცია), აგრეთვე, სოციალური კვლევა, სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და რელევანტური კვლევითი მეთოდების გამოყენებით. სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კვალიფიკაცია მას შესაძლებლობას მისცემს სწორად განსაზღვროს შესასწავლი პრობლემის არსი, შეარჩიოს ის მეთოდი, რომელიც ამა თუ იმ პრობლემის შესწავლას ადეკვატურად უზრუნველყოფს და წარმოადგინოს კვლევის შედეგები, როგორც კვლევის ძირითადი მიგნებები შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით (როცა ეს აუცილებელია). (ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ სამუშაოს განხორციელებას მაგისტრი შეძლებს დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით).

დ) მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 კრედიტს. კრედიტების განაწილება დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტი არსებითად იღრმავებს ცოდნას სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან პრობლემების პრევენცია/ინტერვენციის ცალკეული მიდგომების, აგრეთვე, სოციალური მუშაობის ვლევის მეთოდების (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი) შესახებ. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამაში სპეციალური ყურადღება (20 კრედიტი) ეთმობა სოციალური მუშაობის პრატიკუმს. ამ კურსს სტუდენტები სოციალური მუშაობის სერვისების მიმწოდებელ სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში ეუფლებიან და იღრმავებენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევებს. პრევენცია/ინტერვენციის თეორიული მიდგომების, აგრეთვე, კვლევის მეთოდების და სოციალური მუშაობის პრაქტიკუმის კურსები სავალდებულოა, რამდენადაც მათი ცოდნა აუცილებელია პროფესიული სრულყოფისათვის. გარდა ამისა, არჩევითი კურსების ფარგლებში, სტუდენტებს მიეწოდება სხვადასხვა სპეცკურსები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, რომ სტუდენტმა კონცენტრაცია მოახდინოს მისთვის საინტერესო რომელიმე პრობლემის/თემის სოციალური მუშაობის კუთხით შესწავლაზე. სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობაა 65/25-ზე. სამაგისტრო ნაშრომის საკრედიტო ხვედრილი წილია 30 კრედიტი.

-

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  საჯარო მმართველობის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  საჯარო მმართველობა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.

- პროგრამის მოთხოვნები:
  პროგრამისმიზანი: საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებს საჯარო ადმინისტრირების სფეროსთვის აუცილებელი ცოდნის, სპეციფიური უნარებისა და ღირებულებების გადაცემას. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სფეროში ერთი მხრივ, მომავალი აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების, მეორე მხრივ კი პროფესიონალებისა და პრაქტიკოსი-ანალიტიკოსების მომზადება. პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მომავალი კადრები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში დასასაქმებლად.

  პროგრამის შედეგები: პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტები იღებენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში კარიერული წინსვლისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, როგორც ცოდნის, ისე უნარებისა და ღირებულებების თვალსაზრისით. ეს უზრუნველყოფს ლიდერობისა და მართვის ეფექტური და ანგარიშვალდებული პრაქტიკების დამკვიდრებას. სტუდენტები მომზადებული იქნებიან: აწარმოონ საჯარო ადმინისტრირებისათვის ადეკვატური კვლევა და საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე შექმნან საქართველოში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში მნიშვნელოვანი წინსვლისა და ეფექტური მართვის განხორციელების შესაძლებლობები. ამავედროს, პროგრამა ხელს უწყობს საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას სტუდენტებში კვლევითი და პროგრამული მართვის უნარების გადაცემით, რაც უზრუნველყოფილია პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების სისტემის საშუალებით.

  სტურუქტურა: საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას და ითვალისწინებს: 50 კრედიტის მოცულობის სავალდებულო და 20 კრედიტის არჩევითი კურსების გავლას; ასევე სასპეციალიზაციო მოდულის ფარგლებში შემოთავაზებულ სიაში არჩევითი მოდულიდან, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთ-ერთის არჩევასა და მასში 20 კრედიტის დაგროვებას და სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) დაცვას.

-

პოლიტიკის მეცნიერება

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  პოლიტიკის მეცნიერება
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

პროგრამის მიზნები: სამაგისტრო პროგრამა "პოლიტიკის მეცნიერება" მიზნად ისახავს სტუდენტს სრულყოფილი საფუძველი მისცეს პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდებში, თეორიებსადასუბ-დისციპლინებში, რათა მოამზადოს ერთი მხრივ პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხრივ კი აკადემიური საქმიანობისათვის და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები: პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი ფლობს ღრმა ცოდნას შესწავლილი საგნების ფარგლებში; შეუძლია საკვლევი საკითხის გამოკვეთა და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და ამის საფუძველზე პოლიტიკური პროცესების ანალიზი; შეუძლია მიღებული უნარ-ჩვევების გამოყენება კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაცია. კურსდამთავრებული მომზადებულია იმისთვის, რომ იმუშაოს როგორც სახელმწიფოს ტრუქტურებში, ისე არასამთავრობო სექტორში; შეასრულოს პოლიტიკის ანალიტიკოსის და პოლიტიკური კონსულტანტის როლი; იმუშაოს მედიაში - პოლიტიკური ჟურნალისტიკის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა: პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას და ითვალისწინებს: 45 კრედიტის მოცულობის სავალდებულო კურსების გავლას; პროგრამის არჩევითი კურსების საფუძველზე 20 კრედიტის დაგროვებას; სამი არჩევითი მოდულიდან ერთ-ერთის არჩევასა და მასში 20 კრედიტის აღებას. სამაგისტრო პროგრამისათვის სავალდებულოა პრაქტიკის გავლა არჩეული სპეციალობის შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაში (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) დაცვა.

-

ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  ორგანიზაციის განვითარების მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  ორგანიზაციის განვითარება
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:
  ა)"ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება "ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამაა და იძლევა მხოლოდ ძირითადი სპეციალობის შესწავლის საშუალებას. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ორგანიზაციის განვითარების მაგისტრი.
  ბ)სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური კონსულტანტები ორგანიზაციის განვითარებასა და კონსულტირებაში, შესძინოს სტუდენტს

თვითშემეცნების, საკუთარი როლისა და ფუნქციების განვითარების, კრიტიკულ სიტუაციაში შესაბამისი რეაგირების, ორგანიზაციაში პროცესუალურ ცვლილებათა განხორციელების, კონკრეტულ სიტუაციაში მეთოდებისა და ტექნიკის მოდიფიცირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

გ) პროგრამის დარგობრივი კომპეტენციებია: ორგანიზაციაში სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება, კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრება, სიახლეებისადმი ღიაობის გაზრდა და ცვალებად გარემოში ადეკვატური ორიენტირების უნარის განვითარება, გუნდური მუშაობა, შიდაკონფლიქტების მოგვარება, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი გეგმების დასახვა, პროექტების შემუშავება და განხორციელება, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, პერსონალის განვითარება. ტრანსფერული კომპეტენციები კი მოიცავს დასკვნის უნარს, არსებული და ახალი ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენას. ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსში მონაწილეობას, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების განვითარების მზაობას სწავლისა და პროფესიული საქმიანობის პროცესში.

დ) პროგრამა 120 კრედიტიანია და მოიცავს 15 ხუთკრედიტიან სავალდებულო საგანს და 5 ასევე ხუთკრედიტიან არჩევით საგანს, რომელთაგან სტუდენტმა 3 უნდა აირჩიოს საკმარისი კრედიტების დასაგროვებლად. სამაგისტრო ნაშრომი არის 30 კრედიტიანი.

-

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევებისმაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

ა)მიზანი - სამაგისტრო პროგრამის "ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები" (MAin Nationalism and Ethnicity Studies) მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევებში, რომლებსაც შეეძლებათნაციონალიზმისადა ეთნიკურობის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებში გარკვევა, კომპლექსური თემების სწორად შეფასება და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

ბ)შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეცოდინება ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის თეორიული მიმართულებები და ისტორიისმთავარისაკითხები,თანამედროვე ნაციონალიზმისსაკვანძოპრობლემები, ეთნოკონფლიქტებისმიზეზების ანალიზი და მათი გადაჭრის შესაძლო გზების დასაბუთება. კურსდამთავრებული შეძლებს ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის საკითხებში კომპეტენტური რჩევების მიცემას და კონსულტირებას, მოლაპარაკებებში და

პოლემიკაში მონაწილეობის მიღებას, საკუთარი მოსაზრებების ნათლად და მკაფიოდ გამოხატვას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გ)სტრუქტურა- სამაგისტრო პროგრამა „ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები" 120 კრედიტიანია. აქედან - 40 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს. სამაგისტრო პროგრამის არჩევით საგნები 50 კრედიტს მოიცავს. პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტი ეთმობა, ხოლო პროგრამის ნაწილს ასევე წარმოადგენს სავალდებულოსტაჟირება რეინტეგრაციის სამინისტროში, ან სხვა რომელიმე სახელმწიფო უწყებაში პროფილის მიხედვით. სტაჟირება სავალდებულოა, თუმცა მასში სტუდენტს კრედიტები არ ენიჭება.

-

მედია და ახალი ტექნოლოგიები

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  ჟურნალისტიკის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  ჟურნალისტიკა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:
  პროგრამისმიზანი: სამაგისტრო პროგრამა "მედია და ახალი ტექნოლოგიები" განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის (ჟურნალისტიკის სპეციალობის გარდა) ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის, ვინც გადაწყვეტს ახალ პროფესიად ჟურნალისტობის არჩევას. პროგრამის მიზანია ამ ადამიანებს შეასწავლოს ჟურნალისტიკა და გამოუმუშავოს მათ პრაქტიკოსი ჟურნალისტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. თეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტები დაეუფლებიან პროფესიული ეთიკის ნორმებსა და მედიასამართლის პრინციპებს.

  პროგრამის შედეგი- სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება, როგორ მოიპოვოს, დაამუშავოს, და გაავრცელოს ინფორმაცია; როგორ მოამზადოს ტელე თუ რადიო გადაცემა; როგორ შექმნას გაზეთისა თუ ჟურნალის კონცეფცია და როგორ წეროს ეფექტურად მედიის ამა თუ იმ სახეობისთვის. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ სამაუწყებლო თუ ბეჭდურ მედიაპროდუქციის წარმოებაში ეფექტურ მონაწილეობას. მაგისტრს პრაქტიკულად შეუძლია სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტის მომზადება, ვიდეო თუ აუდიო მასალის დამუშავება, მონტაჟი, გადაცემის დამოუკიდებლად აწყობა; ახალი გაზეთისა თუ ჟურნალისათვის კონცეფციის შექმნა, აუდიტორიის კვლევა მედიაპროდუქტის დასაფუძნებლად; თემების დაგეგმვა, სტატიების წერა და რედაქტირება, ფოტო ილუსტრაციების მომზადება; სწავლის დასრულების შემდეგ, მაგისტრმა პრაქტიკულად უნდა შეძლოს ვებტექნოლოგიების

გამოყენებით ახალი მედია ორგანიზაციის _ ინტერნეტრადიოს, ინტერნეტტელევიზიის, ინტერნეტგაზეთისა თუ ინტერნეტჟურნალის დაფუძნება. საბოლოო შედეგი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ჟურნალისტია, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს საკუთარი ნამუშევრის ტექსტურ, ვიდეო თუ აუდიო ინტერპრეტაციას, ინტერნეტში განთავსებას.

პროგრამის სტრუქტურა - პროგრამა მოიცავს სულ 120 კრედიტს. სავალდებულოა 110 კრედიტი. აქედან 30 კრედიტი სამაგისტრო პროექტს ეთმობა; ხოლო 10 კრედიტი თავისუფალია (თსუ-ს კურიკულუმიდან)

მასობრივიო კომუნიკაცია და მედიის კვლევები

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი მედიის კვლევებში
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  მასობრივი კომუნიკაცია
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:
  პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები თანამედროვე ჟურნალიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მაგისტრანტებს ეძლევათ მკვლევრისათვის საჭირო ბაზისური განათლება, რომელიც მოიცავს გლობალური ჟურნალიზმისა და მედიაკომუნიკაციების სფეროში აქტუალური თემატიკისა და პრობლემატიკის ცოდნას. იქნება ეს - კომუნიკაციის სტრატეგიები, კომუნიკაციისა და დემოკრატიის საკითხები, ავთენტურ მედია გარემოში მიმდინარე პროცესები თუ აღნიშნულ სფეროებში თანამედროვე თეორიების შესწავლის მეთოდოლოგიურ პრინციპებში გარკვევა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. ყოველივე ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა მიერ განსხვავებულ კულტურათა პირობებში ჟურნალისტიკის როლისა და დანიშნულების, თანამედროვე სამყაროში გლობალური ჟურნალიზმის გამოწვევების გააზრებას. პროგრამა მაგისტრანტებს წინაპირობას უქმნის მესამე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამის შედეგი: პროგრამით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები გულისხმობს მაგისტრატურაში მომზადებულ სტუდენტთა მიერ დაუფლებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. კერძოდ, პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტს უვითარდება: ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი; მედიაში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების კვლევისა და შეფასების უნარი; ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაციის კონცეფციებისა და კვლევით მეთოდებში გათვითცნობიერებისა და მედიაპროდუქტისა და აუდიტორიის კრიტიკული ანალიზის უნარი. გარდა დარგობრივი კომპეტენციებისა, კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრებს გამოუმუშავდებათ ისეთი ზოგადი, ტრანსფერული კომპეტენციები, როგორიცაა: თანამედროვე მულტიმედია გარემოში მუშაობისთვის საჭირო პროფესიული სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევები; მიღებული ცოდნის

კონკრეტულ საქმიანობაში გამოყენების უნარი - იქნება ეს აკადემიური სფერო თუ ჟურნალისტური პრაქტიკა. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის ხარისხი რელევანტურობის, კომპეტენტურობის, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და კონსტრუქციულობის ძირითადი პირობაა.

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა შედგება სავალდებულო (90 კრედიტი) საგნებისაგან. პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა თეორიული მასალის მიწოდებას, რაც მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს, ჩამოყალიბდნენ ანალიტიკოსებად და თანამედროვე მედიაორგანიზაციებსა და კვლევით ცენტრებში პრაქტიკული საქმიანობა შეძლონ. ამასთანავე, თეორიული მომზადება შესაძლებლობას მისცემსმათ, მონაწილეობა მიიღონ ბაკალავრიატის დონეზე სასწავლო პროცესში და აწარმოონ სამეცნიერო კვლევა. სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტი ეთმობა.

-

საზოგადოებრივი გეოგრაფია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  საზოგადოებრივი გეოგრაფია
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

ა)საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა და გამოუმუშაოს უნარ–ჩვევები, რომლის საფუძველზეც მათ შეეძლებათ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და პროცესების სივრცობრივი კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა და აღნიშნულ სფეროებში მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრების დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიურისამსახურები), საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სექტორი.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები: მაგისტრანტს აქვს საფუძვლიანი ცოდნა ძირითადი თანამედროვე გეოგრაფიული კონცეფციებისა და პარადიგმების შესახებ. ხელეწიფება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციების სწორად გაგება და შეფასება. მას ექნება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (გის) საფუძვლიანი ცოდნა და მათი პრაქტიკაში/კვლევაში გამოყენების უნარი. კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ/საერთაშორისო პროფესიულ გუნდში თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გაზიარების უნარი.

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

მაგისტრის ხარისხის მისაღებად კანდიდატმა უნდა შეასრულოს 120 კრედიტი, მათშორის:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები-30 კრედიტი
- მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები-30 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსი - 10კრედიტი;
- თავისუფალი კრედიტი-20 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი –30 კრედიტი;

-

ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები

- პროგრამის მოთხოვნები:

ა) სამაგისტრო პროგრამა „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამოუკიდებელი მიმართულების (სოციოლოგია და სოციალური მუშაობა) აკადემიური კომპონენტია.

ბ) სამაგისტრო პროგრამის მიზანია შრომითი ურთიერთობების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვანი როლი ითამაშონ საქართველოს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის სფეროს ტრანსფორმაციაში და ამით კიდევ უფრო დააახლოვონ ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან.

გ)ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს აქვს ღრმადა სისტემური ცოდნა შრომის თანამედროვე ლეგალური, საბაზრო, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ ასპექტების. აგრეთვე, დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ; მას შეუძლია მიღებული ცოდნის ოპერაციული გამოყენება. კერძოდ, ა) სხვადასხვა სფეროში შრომითი ურთიერთობების ექსპერტული შეფასება ევროკავშირში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; ბ) სოციალური პოლიტიკის სფერიში შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის დოკუმენტის (Policy Paper) შემუშავება; გ) თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის; დ) სხვადასხვა სოციალური პრობლემის შესწავლის (კვლევის) გზების განსაზღვრა და არსებითი და ეფექტური რეკომენდაციების ჩამოყალიბება ამ პრობლემების გადასაჭრელად.

დ) მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 კრედიტს. ამათგან, სპეციალობის სავალდებულო საგნების მოცულობა 65 კრედიტია, ხოლო არჩევითი საგნების – 20 კრედიტი. პრაქტიკის კომპონენტზე, რომელსაც სტუდენტები გადიან დამსაქმებელ ორგანიზაციებში, მოდის 5 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომის წილია 30 კრედიტი.

სულ სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 28 კურსი (სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით); კურსების ნაწილი ძირითადად ლექციებს ეყრდნობა, ხოლო ნაწილი – სასემინარო ხასიათს ატარებს.

ევრაზიისა და კავკასიის კვლევები

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):

  სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:

  რეგიონმცოდნეობა (ევრაზიისა და კავკასიის კვლევები)
  - ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

საფეხურის სტრუქტურა: მეორე საფეხური: მაგისტრატურა - 120 კრედიტი (პროგრამა ინგლისურენოვანია)

პროგრამის მიზანია: კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება რეგიონმცოდნეობაში. (ევრაზიისა და კავკასიის რეგიონი). პროგრამის მიზანია განავითაროს კვლევა ევრაზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესებისა და ტრანსფორმაციის შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა იყენებს ინტეგრირებულ მიდგომებს სწავლებებში. ინტეგრირებულ მიდგომებში ჩვენ ვგულისხმობთ: 1) ტრანსოფრმაციაზე საფუძვლიან დაკვირვებას სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინების კუთხიდან, როგორიცაა პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სოციოლოგია, სამართალი და ისტორია; 2) კურიკულუმში თეორიული და კვლევითი საგნების კომბინირებას. პროგრამა შექმნილია სამხრეთ კავკასიასა და პოსტ საბჭოთა სივრცეში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის და აქვს ძლიერი ფოკუსი საერთაშორისო ურთიერთობებზე.

პროგრამისშედეგი: პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ განახორციელონ კვლევა ტრანზიციულ სწავლებებში და სამხრეთ კავკასიისა და ევრაზიის რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტკურ პრობლემებთან დაკავშირეულ საკითხებში ანალიტიკურ ცენტრებსა და კვლევით ორგანიზაციებში.

შეიმუშავონ რეკომენდაციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და პოსტ საბჭოთა სივრცეში მიმდინარე გამოწვევების შესახებ.

იმუშაონ ანალიტიკოსებად ან სპეციალისტ პრაქტიკოსებად საჯარო და კერძო სექტორში, სამინისტორებში და სსიპ-ში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა.

დაიკავონ მკვლევარისა და პედაგოგის პოზიციები უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში, (think-tanks)

სწავლა განაგრძონ საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე ან დოქტურანტურაში.

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 40 კრედიტი სავალდებულო საგანია. 50 კრედიტი არჩევითი საგნებია 10 თავისუფალი კრედიტის ჩათვლით (პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნების საფუძველზე სტუდენტს ევალება მინიმუმ 40 კრედიტის დაგროვება, თუმცა თუ სტუდენტი დაინტერესებულია ისეთი საგნით, რომელიც ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში არ არის მოცემული არჩევითი საგნების ჩამონათვალში, სტუდენტს შეუძლია 10 კრედიტი თსუ-ს ფარგლებში შეთავაზებული სხვა სამაგისტრო პროგრამიდან შეავსოს, რის საშუალებასაც სწორედ ეს 10 თავისუფალი კრედიტი იძლევა).

სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტიეთმობა.

-

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები

მიზანი : სამაგისტრო პროგრამის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა" მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებსაც შეეძლებათ საერთაშორისო პოლიტიკის და ორმხრივი, თუ მრავალმხრივი დიპლომატიის თანამედროვე საკითხებში გარკვევა, სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზის გაკეთება, კომპლექსური თემების სწორად შეფასება და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

შედეგები :პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეცოდინება საერთაშორისო ურთიერთოებების თეორიული მიმართულებები, დიპლომატიის ისტორიის მთავარი საკითხები, ასევე დიპლომატიის პრაქტიკის საფუძვლები. კურსდამთავრებული შეძლებს საგარეო პოლიტიკაში კომპეტენტური რჩევების მიცემას და კონსულტირებას, დიპლომატიურ მოლაპარაკებებში და პოლემიკაში მონაწილეობი სმიღებას, საკუთარი მოსაზრებების ნათლად და მკაფიოდ გამოხატვას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტრუქტურა: სამაგისტრო პროგრამა "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა " 120 კრედიტიანია. აქედან - 35კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს. სამაგისტრო პროგრამის

არჩევით საგნები45კრედიტს მოიცავს. პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტი ეთმობა, 10 კრედიტი წარმოადგენს თავისუფალ კრედიტებს.

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  სოციალური მეცნიერებების მაგისტრი დემოგრაფიაში
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
დემოგრაფია
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:
სამაგისტრო პროგრამა : ,,დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია" განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის, ვინც გადაწყვეტს ახალ პროფესიად დემოგრაფიის არჩევას.

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციურ დემოგრაფთა კადრები, ჩამოუ¬ყა¬ლიბოს მათ ხედვა თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიის, როგორც დამოუკი¬დებე¬ლი საზოგადოებრივი მეცნიერებების სისტემის როლისა და მზარდი მნიშვნელობის შესახებ. გააცნოს და ღრმად შეასწავლოს დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირითადი თეორიები, დებულებები, კატეგორიები და კანონები;

შეასწავლოს მოსახლეობის განვითარების თავისებურებები, ასევე მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესების (მათ შორის, კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ) დინამიკა, როგორც მსოფლიო, ასევე რეგიონულიდაცალკეული ქვეყნების ჭრილში;

სტუდენტებს გამოუმუშაოს ჰუმანიზმის დემოკრატიული დ ალიბერალური ღირე¬ბუ-ლებების ცოდნა დაპ ატივისცემა;

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება როგორ მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს დემოგრაფიული და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ინფორ¬მა¬ცია. შეიმუშაოს დემოგრაფიული განვითარებისა და მიგრაციული პროცესების მართ¬ვისათვისსაჭირო რეკომენდაციები;

კურსდამთავრებულებს მუშაობა შეეძლებათ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სასწავლო დაწე¬სე-ბულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში, ბიზნეს-სტრუქ¬ტუ¬რებ¬ში. აღნიშნულ დაწესებულებებში ისინი შეძლებენ განახორციელონ მიმდინარე ურთულესი დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების მონიტორინგი, ანალიზი და პროგნოზირება მოდელირების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.

სტუდენტის დასაქმებას მნიშვნელოვან წილად განაპირობებს სამაგისტრო პროგ¬რა¬მის პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გამომუშავებული უნარ-ჩვევები.

სტრუქტურა: სასწავლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან, მათგან 100 კრედიტს შეადგენს სავალდებულო საგნები, რომელთაგანაც 5 კრედიტი წარმოადგენს პრაქტიკას და 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომს, სტუდენტმა 20 კრედიტი უნდა დააგროვოს არჩევითი საგნების ხარჯზე.

-

კონფლიქტებიოს ანალიზი და მართვა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
  კონფლიქტოლოგიის მაგისტრი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
  კონფლიქტოლოგია
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები:

პროგრამის მოთხოვნები: "კონფლიქტების ანალიზი და მართვა" არის ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავს სოციალური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური საგნების თეორიულ კურსებს. ის ასევე ითვალისწინებს, კონფლიქტური სიტუაციების და პროცესების შემთხვევების ანალიზს და კვლევით საქმიანობას აქტუალური სამეცნიერო და რაქტიკული პრობლემების შესწავლის მიზნით. მოლაპარაკებაში,მედიაციაშიდა კონფლიქტების მოგვარების სხვა ალტერნატიულ მეთოდებში სპეციალური ტრენინგის წარმატებით გავლის შედეგად სტუდენტს საშუალება ექნება დამატებით მიიღოს აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და გადაჭრის ცენტრის სერტიფიკატი.

აღნიშნულ პროგრამაში სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მოცემულია შემდეგი თანაფარდობით: სასწავლოკომპონენტი – 60 %, კვლევითიკომპონენტი – 40%.

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი ან პრაქტიკოსი კონფლიქტოლოგი, რომელსაც ექნება ცოდნა სხვადასხვა დონის კონფლიქტების სტრუქტურის, შინაარსისა და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ და შეეძლება მიღებული ცოდნის გამოყენება სხვადასხვა დონის კონფლიქტების ანალიზის, მოგავრებისა და პრევენციისათვის.

სამაგისტრო კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს კონფლიქტების სფეროში ღრმა თეორიულ ცოდნას, ასევე ინფორაციას მიმდინარე და ქრესტომათიული კონფლიქტების შესახებ. კურსდამთავრებულს შეუძლია რეალური კონფლიქტის ანალიზი, მისი კვლევა, სხვადასხვა წყაროებიდან და მომიჯნავე სფეროებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და შედეგების რაოდენობრივი თუ თვისობრივი დამუშავება. ასევე იგი ფლობს, კონფლიქტების მოგვარებისთვის საჭირო კონკრეტულ მეთოდებს და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება. სტუდენტს აქვს ჯგუფთან მუშაობის უნარი, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისას მხარეებთან დადებითი კომუნიკაციის დამყარების უნარი და კონფლიქტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების უნარი.

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სავალდებულო საგნებს - სპეცილობის ბაზისურკ ურსებს, ასევე არჩევით საგნებს. მათი თანაფარდობაა: სავალდებულო კურსები – 70 %, არჩევითი კურსები – 30%. საჭირო კრედიტების დაგროვების შემდეგ, პროგრამის დასასრულს სტუდენტი იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომლიც მოიცავს 30 კრედიტს.

-

დოქტორანტურა

საერთაშორისო ურთიერთობები

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):საერთაშორისო ურთიერთობებისდოქტორი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:საერთაშორისო ურთიერთობები

- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები: საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანია შექმნას ახალი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, უზრუნველყოს დოქტორანტების გაძლიერებული ტრენინგი სოციალური კვლევის მეთოდებში და განუვითაროს მათ სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი უნარები.

პროგრამა ამზადებს საერთაშორისო ურთიერთობების მაღალი დონის მკვლევრებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიულ მიდგომებს, აგრეთვე პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის სფეროში თეორიულ ნააზრევს, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ კვლევის ჩატარება და ანალიტიკური სამუშაოს შესრულება საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, პროფესიული სამუშაოს შესრულება სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და უმაღლეს სასწავლებლებში დისციპლინის სწავლება ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა კვლევას, მოიცავს სასწავლო კომპონენტს, და ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- სტუდენტთა სადოქტორო კვლევის ხელშეწყობა და განვითარება
- საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული ცოდნის გაღრმავება და სრულყოფა, ახალი ცოდნის გენერირება
- აკადემიური სწავლების/პედაგოგიკის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სწავლის პერიოდის მინიმუმ ოთხ სემესტრს, თითოეული მათგანი მოიცავს: სემინარებს კვლევის დიზაინის შესახებ (ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია, პროგრესზე მუშაობის სემინარები), დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი სემინარები და აკადემიური პრაქტიკის სემინარები(სწავლებისა და

ხელმძღვანელობის პრაქტიკა, კვლევის მენეჯმენტი, აკადემიური სტატიის წერა,საგრანტო განაცხადის წერა).

-

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):სოციალურმეცნიერებათადოქტორი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:კონფლიქტების ანალიზი და მართვა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები: წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ არის სამწლიანი სადოქტორო კურსი, რომელიც მოიცავს სოციალური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური საგნების თეორიული მასალის გაცნობას. ის ასევე ითვალისწინებს, კონფლიქტური სიტუაციების და პროცესების შემთხვევების ანალიზს და კვლევით საქმიანობას აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების შესწავლის მიზნით.

აღნიშნულ პროგრამაში სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მოცემულია შემდეგი თანაფარდობით: სასწავლო კომპონენტი - 22%(40 კრედიტი), კვლევითი კომპონენტი - 78% (140 კრედიტი).

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები კონფლიქტის ანალიზის და მართვის სფეროში, რომელთაც აქვთ კონფლიქტების შესახებ ღრმა თეორიული ცოდნა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პრაქტიკული უნარ ჩვევები სხვადასხვა კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, რეკომენდაციების შემუშავებისათვის კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების სფეროში. ამასთან ერთად შეეძლებათ სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის წარმართვა კონფლიქტოლოგიის დარგის მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად და სატანადო ტრენინგების და კონსულტაციების ჩასატარებლად.

სადოქტორო კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს კონფლიქტების სფეროში უახლოეს მიღწევებზე დამყარებულ ღრმა თეორიულ ცოდნას. კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, წარმართვა და გაძღოლა. ასევე იგი ფლობს, კონფლიქტების მოგვარებისთვის საჭირო კონკრეტულ მეთოდებს და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება. აქვს კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისას მხარეებთან დადებითი კომუნიკაციის დამყარების უნარი.

-

მასობრივი კომუნიკაცია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება
სოციალური მეცნიერებების დოქტორი
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- პროგრამის მოთხოვნები:
- **სადოქტორო პროგრამის მიზანი:** სადოქტორო პროგრამის მიზანია მასობრივი კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული, ინტერდისციპლინური მიდგომით კვლევა, თანამედროვე მედიის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ახალი ცოდნის და მეცნიერული გამოცდილების შექმნა, მედიის და მასკომუნიკაციის სისტემების არსში წვდომა, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და განვითარების პერსპექტივების დასახვა.

პროგრამა აგებულია ორიგინალური კვლევის მოქნილობის პრინციპსა და ინტერდისციპლინური გამოცდილების შეძენაზე. პროგრამა ამზადებს მომავალ ლექტორებს და მკვლევრებს ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის მიმართულებით.

დოქტორანტს სემინარებზე შესაძლებლობა მიეცემა სხვადასხვა მიმართულებით გაიფართოოს ცოდნა, გაეცნოს უახლეს მიღწევებს, მოემზადოს აკადემიური საქმიანობისთვის და თავადაც აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, იყოს თვითორგანიზებული და აითვისოს კვლევის წარმართვისთვის აუცილებელი მენეჯერული თვისებები. პროგრამა ფოკუსირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე;

პროგრამა დოქტორანტს ამზადებს აკადემიური კარიერისთვის. მომავალი მკვლევარი მზად იქნება აკადემიურ სფეროში თავისი კონტრიბუცია შეიტანოს ახალი ცოდნის, ფაქტების ან არსებული ინფორმაციის იმგვარი ინტერპრეტაციით, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება სამეცნიერო საზოგადოებისთვის. პროგრამის ფარგლებში მას შესაძლებლობა მიეცემა იყოს ტუტორი, მკვლევარი-ასისტენტი და ასევე, გახდეს ასისტენტ პროფესორი. დისერტაციის დაცვის შემდეგ მას უნდა შეეძლოს რეფერირებადი საერთაშორისო ჟურნალისა და კონფერენციებისთვის სამეცნიერო პუბლიკაციების წარმოდგენა.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს ის აუცილებელი თვისებები, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებასთან ერთად ახალი ცოდნის შექმნას და ტირაჟირებას შეუწყობს ხელს. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

- **სადოქტოროპროგრამაზემიღებისწინაპირობა:** მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს: უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

გასაუბრებაზე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წარმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი (იხ. დანართი N1).

პოლიტიკის მეცნიერება

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):პოლიტიკის მეცნიერებისდოქტორი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი: პოლიტიკის მეცნიერება
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები: წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს პოლიტიკის და პოლიტიკური სფეროს საკვანძო მომენტების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მოდულარულ სისტემას და მიზნად ისახავს დისციპლინის ცალკეული პრობლემური სფეროების გამოკვლევას. დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას. კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ემსახურება ამ დარგში მკვლევარისა და აკადემიური სფეროს მომავალი სპეციალისტის მომზადებას, რომლესაც შესწევს ახალი ცოდნის გენერირება და თავისი სადოქტორო დისერტაციით ემსახურება ახალი ცოდნის შექმნას პოლიტიკურ მეცნიერებაში.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტის ინტელექტუალური პროფესიული და აკადემიური განვითარება, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელისშეწყობა. სადოქტორო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში მიზნად ისახავს პოლიტიკის სფეროში სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას დამთავრდება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

-

სოციალური მუშაობა

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):სოციალური მუშაობისდოქტორი
- კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:სოციალური მუშაობა
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- სწავლების ფორმა: დასწრებული.
- პროგრამის მოთხოვნები: სოციალური მუშაობის სადოქტორო პრორამის მიზანია მიაღწიოს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციას და მოამზადოს კრიტიკული რეფლექსიის მქონე პრაქტიკოსი, რომელიც დაინტერესებულია, განავითაროს თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები და რომელსაც შეეძლება ინტერვენცია სოციალური პროცესების ყველა დონეზე სოციალური თერაპიირ კუთხით.

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს კვლევის თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნასა და გენერირებას აგრეთვე, აკადემიური წერის, კვლევის შედეგების წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენის, კრიტიკული ანალიზისა და მიმოხილვის უნარების ჩამოყალიბებას.

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში და მის განხორციელებაში ჩართული იყვნენ და არიან ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორები და ევროკავშირის ექსპერტები.

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს:

- აქვს სისტემური და სიღრმისეული ცოდნა მის მიერ არჩეული სოციალური მუშაობის ამა თუ იმ სფეროს (ბავშვები, ოჯახები, მოხუცები, მარგინალური ჯგუფები და სხვ.) ფარგლებში და მომიჯნავე სფეროებში, რაც მას საშუალებას აძლევს, სრულფასოვნად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიებში და აწარმოოს როგორც წმინდა თეორიული, ისე გამოყენებითი კვლევა;
- შეუძლია წარმოადგინოს სოციალური პრობლემების ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი, შეიმუშაოს ეფექტური რეკომენდაციები და თავად იმოქმედოს პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური და ინოვაციური გზების გამოყენებით.
- აქვს უნარი, თავად დაგეგმოს და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით განახორციელოს კომპლექსური კვლევითი პროექტი და სოციალური მუშაობის პრაქტიკის სრული ციკლი.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან, რომელთა შორის განაწილება შემდეგნაირია: 40 კრედიტი სასწავლო კომპონენტს ეთმობა, ხოლო 140 კრედიტი _ კვლევით კომპონენტს.

-

კულტურის და მედიის სოციოლოგია

- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

- კვალიფიკაციის დასახელება
სოციოლოგიის დოქტორი
-კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი:
კულტურის სოციოლოგია, მედიის სოციოლოგია
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- პროგრამისმოთხოვნები:

სადოქტორო პროგრამის მიზანია დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მკვლევრის მომზადება კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროში.

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტზე; მასმედიის საშუალებები, განსაკუთრებით ახალი მედია, ამ ცვლილებების განხორციელების უმთავრესი ბერკეტია. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, თუ ადრე სოციალური პარადიგმების ცვლილებას საუკუნეები სჭირდებოდა, დღეს მათ ცვლილებას შესაძლოა მხოლოდ ათწლეულები დასჭირდეს და ეს ფუნდამენტური ცვლილებები სოციალურ მეცნიერებაში არსებული ცოდნის მუდმივ განახლებას მოითხოვს. ამდენად, მსოფლიოს წინაშე არასოდეს მდგარა სოციოკულტურული და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტრანსფორმაციების შესწავლის ისეთი საჭიროება, როგორც დღესაა. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, წვლილი შეიტანოს სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციების შესწავლაში, საქართველოში და, ზოგადად, კავკასიის რეგიონში ემპირიული კვლევების ჩატარების საფუძველზე.

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს კულტურის და მედიის სოციოლოგიაში უახლეს კვლევებზე დამყარებული ცოდნით, აგრეთვე ემპირიული ინსტრუმენტებით ამ სფეროს აქტუალური თემატიკის საკვლევად. პროგრამა მაქსიმალურად წაახალისებს ინტერდისციპლინურ და მულტიმეთოდურ მიდგომას. დოქტორანტის კომპეტენცია მოიცავს ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესთა კრიტიკულ ანალიზს, მათ შესასწავლად ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, კვლევის მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების ორიგინალურ სინთეზს, თეორიული იდეების ემპირიული რეალიზების შესაძლებლობას და მოპოვებული მონაცემების რაოდენობრივ/თვისებრივ ანალიზსა და ინტერპრეტაციას.

სადოქტორო პროგრამაზე დაიშვებიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრანტის ხარისხის მქონე პირები, რომლებიც სოციალური თეორიის და მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) სათანადო კომპეტენციას ფლობენ, რათა დამოუკიდებელი ემპირიული კვლევის წარმართვა და შესაბამისი სოციალური თეორიებით მისი გამყარება შეძლონ.

დაშვებისწინაპირობა:

ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წარმოდგენილ იქნება სერტიფიკატი, ან სტუდენტი გაივლის გასაუბრებას პროგრამის ხელმძღვანელთან ინგლისურ ენაზე);სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;გასაუბრების შედეგების საფუძველზე დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

ურბანისტიკა

სადოქტორო პროგრამის „ურბანისტიკა“ მიზანია:

- ურბანისტიკის მკვლევარის მომზადება დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით საქალაქო განვითარების აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად;
- საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისი დოქტორის ინტელექტუალურ ზრდა;
- აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოება;
- სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და კვლევის ხარისხის ამაღლება;
- საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, დარგში ახალი ცოდნის შექმნა და დანერგვისათვის ხელშეწყობა;
- დოქტორანტმა შეიძინოს ახალი ცოდნა, ‘ინსტრუმენტები’ და მეთოდები, რომელიც საშუალებას მისცემს იმუშაოს როგორც ინფორმირებულმა და უახლესი ტენდენციების მცოდნე პროფესიონალმა საქალაქო განვითარების/ურბანისტიკის ისეთ სფეროებში, სადაც საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა და სოციალურად რელევანტური ხედვის ქონა.
- მისცეს დოქტორანტს საქალაქო სივრცის შესახებ სრულფასოვანი აკადემიური და პროფესიულ ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს ადექვატურად გააცნობიეროს და შეაფასოს მიმდინარე ურბანული პროცესები, შეძლოს სათანადოდ დაგეგმოს, მოაწყოს და მართოს ქალაქის ტერიტორია და სოციალურ-ეკონომიკური გარემო.
- შეძლოს სრულფასოვანი კვლევების ჩატარება, პროექტების მომზადება და განხორციელება, ასევე პროექტებისა და გეგმარებითი დოკუმენტების ექსპერტიზა ურბანული განვითარების სფეროში, ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ფუნქციონირების თვალსაზრისით;
- დისციპლინათაშორისი ინტეგრირებული მიდგომების გამოყენება თანამედროვე ქალაქების წინაშე მდგარი კომპლექსური გამოწვევების შეფასებისა და გადაჭრის გზების შემუშავების კუთხით;
- გამოუმუშავდეს სათანადო ცოდნის სინთეზის უნარი ქალაქის ფიზიკური გარემოსა და განაშენიანების ფორმების (არქიტექტურის, ლანდშაფტური არქიტექურის და გეგმარებითი სტრუქტურის) სფეროში, ისეთ მნიშვნელოვან საქალაქო კომპონენტებთან, როგორიცაა გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია და მოსახლეობის დემოგრაფია.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის (განაცხადის/აპლიკაციის) შემოტანის უფლება აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული ხარისხის) მქონე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში, ქალაქმშენებლობაში, საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ეკონომიკაში, ლანდშაფტების შემსწავლელ მეცნიერებაში.
- კანდიდატს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული უნდა ქონდეს საერთო ჯამში არანაკლებ 300 ECTS კრედიტისა.
- დოქტორანტობისკანდიდატსმოეთხოვებაინგლისურისამეცნიეროენისარანაკლებB2 დონეზეცოდნის დადასტურება(შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო

აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). იმშემთხვევაში, თუდოქტორანტისამეცნიეროკვლევისემპირიულბაზადირჩევსინგლისურენასამუცხოური ენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება.

- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

დემოგრაფია

- მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი დემოგრაფიაში

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე

დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ხელეწიფება პრაქტიკულ სფეროში როგორც დამოუკიდებელი, ისე კოლექტიური საქმიანობის წარმართვა, ასევე დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში წვლილის შეტანა.

ამ თვალსაზრისით, დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი უნდა იყოს:

- საერთაშორისო პროფესიულ ქსელებსა და საზოგადოებებში თანამშრომლობისა და ახალი ცოდნის გენერირების შემძლე;
- საფუძვლიანად უნდა იცნობდეს და ფლობდეს როგორც თანამედროვე დემოგრაფიულ კონცეფციებს, პარადიგმებსა და იდეებს, ასევე ზოგადად სამეცნიერო და ექსპერტულ მეთოდებსა და მიდგომებს;
- მზად იყოს საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის: სახელმწიფო დაწესებულებებში, არასამთავრობო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში, რომლებიც დემოგრაფიის სფეროში მოქმედებს.

მას ასევე უნდა შეეძლოს შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

- სადოქტოროპროგრამისდასახელება:

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

- მისანიჭებელიაკადემიურიხარისხი:
- სოციალურმეცნიერებათადოქტორი

სადოქტორო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების სფეროს განვითარება აკადემიური პერსონალის მომზადებით, რათა მათ ხელიშეუწყონ საქართველოში კვლევის ამ მიმართულების პრაქტიკაში დანერგვას, სამეცნიერო დონეზე აყვანას და შემდგომ წინსვლას. პროგრამა მიზნად ისახავს ორგანიზაციის განვითარების

სფეროში არსებული ცოდნის გაღრმავებას, ახალი ცოდნის შექმნას და გამოცდილების დაგროვებას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დოქტორანტების მაღალი რანგის მეცნიერებად, მკვლევარებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებმა, შესრულებული კვლევებით წარმოაჩინონ და საერთაშორისო ასპარეზე გაიტანონ საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული კულტურის, კონფლიქტების მოგვარებისდა მედიაციის თავისებურებანი საზღვარგარეთელი მეცნიერების და პრაქტიკოსების მოზიდვის მიზნით. აუცილებელია დოქტორანტებმა ხელი შეუწყონ საქართველოში ორგანიზაციის განვითარების კუთხით ჩატარებული კვლევების გავრცელებას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სადოქტორო პროგრამამ უნდა მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის თანამედროვე პროფესიული, მომსახურეობითი და საწარმოო ორგანიზაციების განვითარების კონსულტანტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

- დოქტორანტს მისცეს დარგის ფუნდამენტური ცოდნა;
- სიღრმისეულად შეასწავლოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები.
- განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, არჩეული სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევის შესრულებისუნარი.
- ხელი შეეწყოს დოქტორანტს, გააცნობიეროს საკუთარი გზა მეცნიერებაში;
- გამოუმუშაოს მას წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- მოამზადოს იგი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის.

სოციოლოგია

- სადოქტორო პროგრამის
  სახელწოდება: სოციოლოგია

- მისანიჭებელი
  აკადემიური ხარისხი:

სოციოლოგიის დოქტორი

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე:

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია სოციოლოგიაში სრულფასოვანი მკვლევრის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი კვლევების ჩატარებას პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი გეოგრაფია

- სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:

საზოგადოებრივი გეოგრაფია

- მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი

. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ხელეწიფება როგორც პრაქტიკულ სფეროში დამოუკიდებელი მუშაობა და კოლექტიური საქმიანობის წარმართვა, ასევე წვლილის შეტანა გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში.

ამ თვალსაზრისით, დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი უნდა იყოს საერთაშორისო პროფესიულ ქსელებსა და საზოგადოებებში თანამშრომლობისა და ახალი ცოდნის გენერირების შემძლე. ის საფუძვლიანად უნდა იცნობდეს და ფლობდეს როგორც თანამედროვე გეოგრაფიულ კონცეფციებს, პარადიგმებსა და იდეებს, ასევე ზოგადად სამეცნიერო და ექსპერტულ მეთოდებსა და მიდგომებს.

ის უნდა იყოს მზად საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის სახელმწიფო დაწესებულებაში, არასამთავრობო სტრუქტურებში და კერძო სექტორში, რომლებიც სივრცითი/გარემოს დაგეგმვისა და ანალიზის სფეროში მოქმედებენ. მას ასევე უნდა შეეძლოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უცხოურ სააგენტოებთან თანამშრომლობა.